



თბილისის საქალაქო სასამართლო

№1-04151/15341

10.06.2019 წელი

ბატონ დავით ქუტიძეს  
ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს

თბილისი, კოსტავას ქ. N75გ

ბატონო დავით,

2019 წლის 4 ივნისის მომართვის (რეგ. N102) პასუხად, გაცნობებთ, რომ მოთხოვნილი სახით ინფორმაციის სტატისტიკური აღრიცხვა/დამუშავება და საჯარო მონაცემთა ბაზაში განთავსება თბილისის საქალაქო სასამართლოში არ ხორციელდება, რის გამოც მოკლებული ვართ თქვენი თხოვნის სრულად დაკმაყოფილების შესაძლებლობას და საჯარო ინფორმაციის სახით წარმოგიდგენთ, თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს, ცხრილის სახით:

სტატისტიკური ინფორმაცია აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობით, წარმოდგენილ შუამდგომლობების შესახებ

პერიოდი	შემოვიდა	დაკმაყოფილდა
2010	4773	4260
2011	3805	3611
2012	2134	1981
2013	2642	1661
2014	3843	2390
2015	3085	1879
2016	2794	1728
2017	2210	1687
2018	2475	2216

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შეგიძლიათ, გაასაჩივროთ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

პატივისცემით,  
ავთანდილ წაშალაშვილი

უფროსი კონსულტანტი  
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი